| 7047           | ეკონომიკის სხვა დარგები   | 145,086.4          | 242,824.8          | 143,647.7          | 27,412.7              | 116,235.0                |
| 70471          | ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და<br>დასაწყობება  | 250.8              | 277.6              | 277.6              | 277.6                 | 0.0                      |
| 70473          | ტურიზმი   | 52,996.4           | 67,570.4           | 53,414.1           | 6,414.1               | 47,000.0                 |
| 70474          | მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტი   | 91,839.2           | 174,976.8          | 89,956.0           | 20,721.0              | 69,235.0                 |
| 7048           | გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური<br>საქმიანობის სფეროში  | 307.5              | 302.0              | 305.0              | 305.0                 | 0.0                      |
| 70482          | გამოყენებითი კვლევები სოფლის<br>მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და<br>მონადირეობაში | 307.5              | 302.0              | 305.0              | 305.0                 | 0.0                      |
| 7049           | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა<br>ეკონომიკის სფეროში  | 21,391.3           | 14,914.0           | 12,342.0           | 12,342.0              | 0.0                      |
| 705            | გარემოს დაცვა   | 23,240.7           | 28,827.0           | 26,500.0           | 16,500.0              | 10,000.0                 |
| 7051           | ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და<br>განადგურება  | 4,663.8            | 0.0                | 0.0                | 0.0                   | 0.0                      |
| 7054           | ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების<br>დაცვა   | 8,802.2            | 16,457.0           | 16,622.0           | 6,622.0               | 10,000.0                 |
| 7056           | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა<br>გარემოს დაცვის სფეროში                                      | 9,774.7            | 12,370.0           | 9,878.0            | 9,878.0               | 0.0                      |
| 706            | საბინაო-კომუნალური მეურნეობა  | 35,492.2           | 89,539.5           | 70,866.9           | 24,366.9              | 46,500.0                 |
| 7062           | კომუნალური მეურნეობის განვითარება   | 1,206.2            | 6,639.5            | 866.9              | 866.9                 | 0.0                      |
| 7063           | წყალმომარაგება  | 34,286.0           | 82,900.0           | 70,000.0           | 23,500.0              | 46,500.0                 |
| 707            | ჯანმრთელობის დაცვა  | 239,848.7          | 230,998.7          | 167,624.2          | 167,624.2             | 0.0                      |
| 7071           | სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და<br>აპარატები   | 13,799.6           | 5,141.0            | 5,036.3            | 5,036.3               | 0.0                      |
| 70711          | ფარმაცევტული პროდუქცია  | 13,799.6           | 5,141.0            | 5,036.3            | 5,036.3               | 0.0                      |
| 7072           | ამბულატორიული მომსახურება   | 27,655.1           | 30,693.0           | 22,960.5           | 22,960.5              | 0.0                      |
| 70721          | ზოგადი პროფილის ამბულატორიული<br>მომსახურება  | 26,413.0           | 24,223.0           | 15,742.0           | 15,742.0              | 0.0                      |
| 70722          | სპეციალიზირებული ამბულატორიული<br>მომსახურება   | 1,242.1            | 6,470.0            | 7,218.5            | 7,218.5               | 0.0                      |
| 7073           | საავადმყოფოების მომსახურება   | 95,221.1           | 107,315.6          | 77,685.0           | 77,685.0              | 0.0                      |
| 70731          | ზოგადი პროფილის საავადმყოფოების<br>მომსახურება  | 24,513.4           | 20,516.0           | 0.0                | 0.0                   | 0.0                      |
| 70732          | სპეციალიზირებული საავადმყოფოების<br>მომსახურება   | 56,065.4           | 71,365.0           | 62,000.0           | 62,000.0              | 0.0                      |
| 70733          | სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო<br>სახლების მომსახურება                                       | 14,642.3           | 15,434.6           | 15,685.0           | 15,685.0              | 0.0                      |
| 7074           | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება  | 51,947.3           | 41,895.2           | 29,016.0           | 29,016.0              | 0.0                      |
| 7076           | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა<br>ჯანმრთელობის დაცვის სფეროში                                 | 51,225.6           | 45,953.9           | 32,926.4           | 32,926.4              | 0.0                      |

| ფუნქცი-<br>კოდი | დასახელება  | 2011 წლის<br>ფაქტი | 2012 წლის<br>გეგმა | 2013 წლის<br>გეგმა | მათ შორის             |                          |
|-----------------|---|--------------------|--------------------|--------------------|-----------------------|--------------------------|
|                 |   |                    |                    |                    | საბიუჯეტო<br>სახსრები | დონორების<br>დაფინანსება |
| 708             | დასვენება, კულტურა და რელიგია   | 158,878.4          | 193,800.0          | 138,225.7          | 138,225.7             | 0.0                      |
| 7081            | მომსახურება დასვენებისა და სპორტის<br>სფეროში                                   | 41,857.8           | 53,129.5           | 40,640.0           | 40,640.0              | 0.0                      |
| 7082            | მომსახურება კულტურის სფეროში  | 65,373.1           | 89,134.0           | 64,112.8           | 64,112.8              | 0.0                      |
| 7083            | ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო<br>საქმიანობა                               | 45,423.2           | 46,517.1           | 28,602.6           | 28,602.6              | 0.0                      |
| 7084            | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი<br>საქმიანობა                            | 2,118.1            | 1,350.4            | 1,083.1            | 1,083.1               | 0.0                      |
| 7086            | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა<br>დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 4,106.2            | 3,669.0            | 3,787.2            | 3,787.2               | 0.0                      |
| 709             | განათლება   | 555,791.2          | 610,753.8          | 649,157.0          | 647,157.0             | 2,000.0                  |
| 7092            | ზოგადი განათლება  | 393,543.5          | 421,602.3          | 455,680.7          | 455,680.7             | 0.0                      |
| 70921           | დაწყებითი ზოგადი განათლება  | 24,685.6           | 25,600.0           | 24,500.0           | 24,500.0              | 0.0                      |
| 70923           | საშუალო ზოგადი განათლება  | 368,857.9          | 396,002.3          | 431,180.7          | 431,180.7             | 0.0                      |
| 7093            | პროფესიული განათლება  | 6,495.0            | 7,520.0            | 11,298.0           | 11,298.0              | 0.0                      |
| 7094            | უმაღლესი განათლება  | 61,658.0           | 65,330.9           | 63,525.8           | 63,525.8              | 0.0                      |
| 70942           | უმაღლესი აკადემიური განათლება   | 61,658.0           | 65,330.9           | 63,525.8           | 63,525.8              | 0.0                      |
| 7095            | უმაღლესისშემდგომი განათლება   | 147.7              | 170.0              | 816.0              | 816.0                 | 0.0                      |
| 7096            | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება  | 22,537.7           | 17,008.6           | 18,792.0           | 18,792.0              | 0.0                      |
| 7098            | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა<br>განათლების სფეროში                        | 71,409.3           | 99,122.0           | 99,044.5           | 97,044.5              | 2,000.0                  |
| 710             | სოციალური დაცვა   | 1,567,627.1        | 1,781,080.2        | 2,287,764.6        | 2,235,379.6           | 52,385.0                 |
| 7101            | ავადმყოფთა და შეზღუდული<br>შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა          | 5,593.3            | 6,314.1            | 5,151.5            | 5,151.5               | 0.0                      |
| 71012           | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე<br>პირთა სოციალური დაცვა                        | 5,593.3            | 6,314.1            | 5,151.5            | 5,151.5               | 0.0                      |
| 7102            | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა   | 997,429.1          | 1,074,201.8        | 1,099,403.5        | 1,099,403.5           | 0.0                      |
| 7104            | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა  | 232,331.6          | 285,044.6          | 733,033.5          | 733,033.5             | 0.0                      |
| 7106            | საცხოვრებლით უზრუნველყოფა   | 124,807.6          | 180,160.9          | 331,793.5          | 331,793.5             | 0.0                      |
| 7107            | სოციალური გაუცხოების საკითხები,<br>რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას      | 110,588.5          | 114,689.9          | 83,251.4           | 30,866.4              | 52,385.0                 |
| 109             | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა<br>სოციალური დაცვის სფეროში                  | 96,877.0           | 120,668.9          | 35,131.2           | 35,131.2              | 0.0                      |

## თავი IV

### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

**მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-495,232.6) ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-215,538.0) ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 169,462.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| ფინანსური აქტივების ზრდა | 2011 წლის<br>ფაქტი | 2012 წლის<br>გეგმა | 2013 წლის<br>პროექტი |
|--------------------------|--------------------|--------------------|----------------------|
|                          | 429,976.5          | 470,258.1          | 169,462.0            |
| ვალუტა და დეპოზიტები     | 0.0                | 122,000.0          | 0.0                  |
| სესხები                  | 169,445.5          | 291,808.1          | 143,100.0            |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 260,531.0          | 56,450.0           | 26,362.0             |

3. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 385,000.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

*ათას ლარებში*

| ფინანსური აქტივების კლება     | 2011 წლის<br>ფაქტი | 2012 წლის<br>გეგმა | 2013 წლის<br>პროექტი |
|-------------------------------|--------------------|--------------------|----------------------|
|                               | 92,221.9           | 60,000.0           | 385,000.0            |
| ვალუტა და დეპოზიტები          | 22,719.4           | 0.0                | 350,000.0            |
| სესხები                       | 69,412.0           | 60,000.0           | 35,000.0             |
| აქციები და სხვა კაპიტალი      | 80.4               | 0.0                | 0.0                  |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 10.1               | 0.0                | 0.0                  |

**მუხლი 12. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 279,694.6 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 816,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული სახსრები - 100,000.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები - 650,000.0 ათასი ლარის ოდენობით;

- განვითარების პოლიტიკის ახალი დონისძიება (CG DPO ) (მსოფლიო ბანკი) - 66,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

| ვალდებულებების ზრდა                | ათას ლარებში    |                 |                   |
|------------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|
|                                    | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის გეგმა | 2013 წლის პროექტი |
| საგარეო                            | 734,929.6       | 1,058,371.7     | 816,000.0         |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 644,219.3       | 958,371.7       | 716,000.0         |
| სესხები                            | 77,434.8        | 0.0             | 0.0               |
| საშინაო                            | 566,784.5       | 958,371.7       | 716,000.0         |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 90,710.3        | 100,000.0       | 100,000.0         |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 90,710.3        | 100,000.0       | 100,000.0         |

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები

| დასახელება  | ათას ლარებში    |                 |                 |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
|   | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის გეგმა | 2013 წლის გეგმა |
| სულ გრძელვადიანი საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები  | 502,580.7       | 859,371.7       | 650,000.0       |
| აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი I (ალაიანი-იგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია) (მსოფლიო ბანკი) | 17,355.6        | 5,600.0         | 1,200.0         |
| აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი II (იგოეთი-სვენეთი) (მსოფლიო ბანკი)                               | 9,514.7         | 0.0             | 0.0             |
| აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (სვენეთი-რუისი) (მსოფლიო ბანკი)                               | 101,261.3       | 30,400.0        | 8,000.0         |
| აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (რუისი-რიკოთი) (მსოფლიო ბანკი)                                 | 0.0             | 42,400.0        | 51,400.0        |
| აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა- (JICA)   | 11,070.6        | 70,340.0        | 52,500.0        |
| აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)  | 0.0             | 0.0             | 4,920.0         |
| ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (I ფაზა) (KfW)                                 | 2,321.9         | 400.0           | 0.0             |
| ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (II ფაზა) (KfW)                                | 33,593.1        | 13,000.0        | 0.0             |
| ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (KfW)                               | 0.0             | 10,000.0        | 15,080.0        |
| ბათუმში მდინარე ჭოროხზე ხიდის მშენებლობა (მსოფლიო ბანკი)  | 0.0             | 0.0             | 15,800.0        |

| დასახელება   | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის გეგმა | 2013 წლის გეგმა |
|--|-----------------|-----------------|-----------------|
| ბორჯომის წყლის პროექტი (EBRD)  | 471.7           | 0.0             | 0.0             |
| განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი (APL 2) (მსოფლიო ბანკი)                          | 404.7           | 0.0             | 0.0             |
| ელექტრომომარაგების სექტორის პროგრამა (KfW)   | 3,341.6         | 0.0             | 0.0             |
| ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD)  | 7,329.4         | 14,900.0        | 9,594.0         |
| ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი (მსოფლიო ბანკი)   | 6,635.6         | 3,000.0         | 0.0             |
| ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC)                             | 240.0           | 14,400.0        | 10,500.0        |
| მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა – პროექტი I (აზიის განვითარების ბანკი)   | 27,754.3        | 76,500.0        | 90,500.0        |
| მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის ანვითარების პროგრამა (IFAD)                           | 1,529.4         | 59.0            | 0.0             |
| მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (II ფაზა) (აზიის განვითარების ბანკი)                      | 13,609.0        | 5,421.0         | 520.0           |
| მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკი)                                | 8,514.9         | 2,220.0         | 0.0             |
| რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (მსოფლიო ბანკი _IBRD)                                 | 0.0             | 80,000.0        | 24,540.0        |
| რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) (მსოფლიო ბანკი)                                     | 0.0             | 16,000.0        | 36,620.0        |
| რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი)                         | 5,040.6         | 4,000.0         | 1,920.0         |
| რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (მსოფლიო ბანკი) | 30,446.6        | 7,637.8         | 5,635.0         |
| რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (აზიის განვითარების ბანკი)                           | 0.0             | 0.0             | 11,706.0        |
| რეგიონალური ელექტროქსელის რეაბილიტაცია – პროექტი I (ალავერდი) (KfW)                                      | 5,683.5         | 0.0             | 0.0             |
| რუსთავის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)   | 3,015.9         | 100.0           | 0.0             |
| საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა (აჭარის შემოვლითი გზა) (აზიის განვითარების ბანკი)                  | 0.0             | 0.0             | 49,000.0        |
| სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში (საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა)                 | 1,437.3         | 1,000.0         | 22,000.0        |
| სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB)               | 0.0             | 2,400.0         | 19,000.0        |
| საფრანგეთის სასაქონლო დახმარება (საფრანგეთი)   | 22,598.9        | 53,300.0        | 25,000.0        |
| სოფლის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი, IFAD)  | 7,560.7         | 2,100.0         | 0.0             |
| სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი (IFAD)   | 78.8            | 7,306.1         | 18,765.0        |

| დასახელება   | 2011 წლის<br>ფაქტი | 2012 წლის<br>გეგმა | 2013 წლის<br>გეგმა |
|--|--------------------|--------------------|--------------------|
| ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა<br>(წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (აზიის<br>განვითარების ბანკი) | 9,473.7            | 42,300.0           | 32,300.0           |
| ფრინველის გრიპის კონტროლის, პანდემიისთვის მზადყოფნისა<br>და მასზე რეაგირების პროექტი (მსოფლიო ბანკი)                     | 476.1              | 0.0                | 0.0                |
| ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET)  | 36.7               | 3,400.0            | 1,000.0            |
| ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (EBRD)  | 2,507.2            | 0.0                | 0.0                |
| ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე გვირაბის მშენებლობა<br>(აზიის განვითარების ბანკი)                                      | 0.0                | 1,400.0            | 0.0                |
| შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (KfW, EIB,<br>EBRD)   | 90,558.0           | 174,437.6          | 40,000.0           |
| შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე<br>პროექტი (მსოფლიო ბანკი_IDA, მსოფლიო ბანკი_IBRD)                      | 0.0                | 33,112.0           | 56,000.0           |
| შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი<br>(მსოფლიო ბანკი)  | 34,913.6           | 4,488.0            | 0.0                |
| ჩოლოქი-სარფის გზის ახალი მიმართულება (ADB)   | 15,742.8           | 72,000.0           |                    |
| წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB)   | 20,370.3           | 58,400.0           | 46,500.0           |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური<br>ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (KfW)                              | 3,276.9            | 3,000.0            | 0.0                |
| ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი)  | 4,415.2            | 4,350.2            | 0.0                |

3. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 536,305.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| ვალდებულებების კლება               | ათას ლარებში       |                    |                      |
|------------------------------------|--------------------|--------------------|----------------------|
|                                    | 2011 წლის<br>ფაქტი | 2012 წლის<br>გეგმა | 2013 წლის<br>პროექტი |
| <b>საგარეო</b>                     | <b>166,378.1</b>   | <b>189,439.9</b>   | <b>536,305.4</b>     |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 111,158.6          | 120,926.0          | 472,994.4            |
| სესხები                            | 0.0                | 0.0                | 110,080.0            |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები     | 110,808.6          | 120,926.0          | 361,720.0            |
| <b>საშინაო</b>                     | <b>350.0</b>       | <b>0.0</b>         | <b>1,194.4</b>       |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 55,219.6           | 68,513.9           | 63,311.0             |
| სესხები                            | 35,000.0           | 35,000.0           | 35,000.0             |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები     | 1,070.0            | 3,382.9            | 2,303.0              |
|                                    | 19,149.6           | 30,131.0           | 26,008.0             |

**მუხლი 13. საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა**

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2013 წლის ბოლოსთვის არა უმეტეს 9 618.4 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალის – 7 642.5 მლნ ლარის, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალის – 1 975.9 მლნ ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| კრედიტორი   |  | საპროგნოზო ნაშთი<br>31.12.2013 |
|---|--|--------------------------------|
| <b>სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო კრედიტების ზღვრული მოცულობა</b> |  | <b>7,642.5</b>                 |
| <b>მრავალმხრივი კრედიტორებისაგან</b>  |  | <b>5,210.5</b>                 |
| 1   | მსოფლიო ბანკი (WB)                                       | 3,159.3                        |
| 2   | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | 68.7                           |
| 3   | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)                        | 426.3                          |
| 4   | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)     | 199.4                          |
| 5   | აზიის განვითარების ბანკი (ADB)                           | 1,018.9                        |
| 6   | ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)                         | 337.9                          |
| <b>ორმხრივი კრედიტორებისაგან</b>  |  | <b>1,364.1</b>                 |
| 1   | ავსტრია  | 25.4                           |
| 2   | აზერბაიჯანი  | 21.1                           |
| 3   | თურქმენეთი   | 0.4                            |
| 4   | თურქეთი  | 40.3                           |
| 5   | ირანი  | 16.5                           |
| 6   | რუსეთი   | 172.7                          |
| 7   | სომხეთი  | 24.9                           |
| 8   | უზბეკეთი   | 0.5                            |
| 9   | უკრაინა  | 0.5                            |
| 10  | ყაზახეთი   | 47.8                           |
| 11  | ჩინეთი   | 7.4                            |
| 12  | გერმანია   | 559.7                          |
| 13  | იაპონია  | 235.8                          |
| 14  | კუვეიტი  | 37.8                           |
| 15  | ნიდერლანდები   | 3.3                            |
| 16  | ამერიკა  | 52.5                           |

| კრედიტორი   |   | საპროგნოზო ნაშთი<br>31.12.2013 |
|---|---|--------------------------------|
| 17  | საფრანგეთი  | 117.5                          |
| <b>სხვა საგარეო ვალდებულებები</b>                   |   | <b>860.0</b>                   |
|   | ევრობონდები   | 860.0                          |
| <b>სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები</b>      |   | <b>5.1</b>                     |
|   | გერმანია  | 5.12                           |
| <b>საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)</b> |   | <b>202.8</b>                   |
| <b>საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა</b>               |   | <b>1,975.9</b>                 |
| 1   | საქართველოს ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი, ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია | 480.8                          |
| 2   | სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის                                   | 127.0                          |
| 3   | ე. წ. ისტორიული ვალები  | 673.1                          |
| 4   | სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრები  | 695.0                          |
| <b>სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა</b>        |   | <b>9,618.4</b>                 |

## თავი V

### სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

#### მუხლი 14. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

#### 1 ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა. პრიორიტეტი ითვალისწინებს პროგრამებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის მომსახურების ხელმისაწვდომობა, გააუმჯობესონ ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი და უზრუნველყონ საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური გარანტიების შეთავაზება შესაბამისი ბენეფიციარებისათვის.

საქართველოს მთავრობის პროგრამის - „მეტი სარგებელი ხალხს“ მიზნების მისაღწევად, პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო 4 წლის განმავლობაში:

- მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისათვის მიიმართება 6 მილიარდი ლარი;
- ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით მიიმართება 3 მილიარდი ლარი;
- სოციალური დახმარებებისთვის მიიმართება 3 მილიარდი ლარი;

პრიორიტეტი მიზნად ისახავს პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის შექმნას, რისთვისაც აუცილებელია გაიზარდოს სამედიცინო მომსახურებების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა და სამედიცინო მომსახურების ხარისხი. გაგრძელდეს მუშაობა დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფრთხეებისადმი მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების კუთხით და გაუმჯობესდეს ჯანდაცვის სფეროს ორგანიზაცია და მართვა სექტორის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

პრიორიტეტის ფარგლებში, საჭიროებებზე მორგებული ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობას გააგრძელებენ არსებული ბენეფიციარები, მათ შორის სოციალურად დაუცველები, ბავშვები დაბადებიდან 5 წლის ჩათვლით, სტუდენტები, მასწავლებლები პენსიონერები. სახელმწიფო იზრუნებს შექმნას ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პაკეტი, რომლითაც ისარგებლებენ სხვა კატეგორიის მოქალაქეები, რომლებიც ზემოჩამოთვლილ არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნება, რაც მათ დაიცავს უბედური შემთხვევების ან/და მოულოდნელი მძიმე ავადმყოფობის დროს მძიმე ფინანსური დანხარჯებისგან.

გაგრძელდება მუშაობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა პროგრამებით უზრუნველყოფის კუთხით. დაავადებათა პრევენციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფრთხეებისადმი მზადყოფნის მიზნით გაგრძელდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მუდმივი ზედამხედველობა; ელექტრონული საინფორმაციო სისტემების განვითარების გზით დაიხვეწება რუტინული სტატისტიკის ნოპოვებისა და ანალიზის მექანიზმები; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში სპეციფიკური გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციას და იმუნიზაციის პროგრამის ეფექტიანობის გაზრდას, აივ-ინფექციის გავრცელების სტაბილიზაციას, ტუბერკულოზის გავრცელების შემცირებას და ისეთი ქრონიკული მდგომარეობების პრევენციას, როგორცაა დიაბეტი და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა; ყურადღება გამახვილდება ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციაზე.

პრიორიტეტის ფარგლებში ბენეფიციარების უზრუნველყოფილნი იქნებიან სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული სოციალური დახმარებებით მათი საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნული დახმარებები შეუნარჩუნდება არსებულ ნახევარ მილიონამდე ბენეფიციარს, ხოლო მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში პროგრამა კიდევ უფრო მასშტაბური გახდება და მიმართული იქნება ყველა სოციალურად დაუცველი ადამიანის საჭიროებაზე.

სახელმწიფოს მიერ გაცემული სოციალური დახმარებების მეტი ეფექტურობის მიღწევის მიზნით, პრიორიტეტის ფარგლებში თითოეული ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება ოთხწლიანი 1000 ლარიანი ვაუჩერით, რომლის გამოყენებასაც ბენეფიციარები შეძლებენ საკუთარი საჭიროებისამებრ კომუნალური გადასახადების დასაფარად, სასკოლო სახელმძღვანელოების ან საჭირო მედიკამენტების შესაძენად, სასოფლო-სამეურნეოსათვის საწვავის და სასუქის მოსამარაგებლად და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დასაქირავებლად და სხვა პირველადი აუცილებლობით გამოწვეული დანახარჯების ასანაზღაურებლად.

სახელმწიფო განაგრძობს მუშაობას იმისათვის, რომ შეიქმნას ფინანსურად მდგრადი საპენსიო და სოციალური დახმარების სისტემა, რათა ბიუჯეტზე ამ სისტემის ფინანსური ტვირთი ეკონომიკური ზრდის, საგადასახადო წნეხისა და დემოგრაფიული ცვლილებების თანაზომიერი იყოს. უახლოეს მომავალში საპენსიო პაკეტი გაიზრდება 100 დოლარის ექვივალენტამდე. ჯანმრთელობის დაზღვევა კვლავ იქნება საპენსიო პაკეტის განუყოფელი ნაწილი და ყველა პენსიონერს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს სათანადო სამედიცინო მომსახურება.

გაგრძელდება მუშაობა ბავშვთა სახლების პროგრამის ტრანსფორმაციის კუთხით, არსებული ბავშვთა სახლები ჩანაცვლდება ოჯახური ტიპის (ევროპული მოდელი) სახლებით, სადაც მაქსიმუმ 8-9 ბავშვი განთავსდება და აღზრდის დახმარებით, რომლებიც მშობლების ფუნქციას ატარებენ, მოხდება მშობლეთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის მაქსიმალურად ოჯახთან მიახლოებული პირობების შექმნა. ამასთანავე, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ განათლება მიიღონ ჩვეულებრივ სკოლებში, რაც ხელს შეუწყობს მათ სოციალიზაციას და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებას.

დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომითი რესურსების სწორი მართვა. სახელმწიფო უზრუნველყოფს უმუშევრობის შესახებ ინფორმაციული ბაზის მუდმივ განახლებას და დახვეწას, უმუშევრობის გეოგრაფიის შესახებ მონაცემების შეგროვებას და კვლევას, სამუშაოს მაძიებლეთა შესახებ მონაცემების დამუშავებას, ასევე სისტემატიზირებული მონაცემების დამუშავებას თუ რა კვალიფიკაციის კადრებზე არის მოთხოვნა დამსაქმებელთა მხრიდან. აღნიშნული მიზნით შექმნილი სპეციალური უწყება აწარმოებს უმუშევართა და დამსაქმებელთა რეესტრს, რითაც შესაძლებელი იქნება შემოდებულ იქნეს უმუშევრის და სამსახურის მაძიებლის სამართლებრივი სტატუსი. ეს ინსტიტუტი იქნება ხიდი დამსაქმებელს და სამუშაოს მაძიებელს შორის, რაც სამსახურის მაძიებელს დაეხმარება სამსახურის პოვნაში, ხოლო დამსაქმებელს ხელს შეუწყობს სასურველი კადრების მოძიებასა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების განვითარებაში.

## 1.1 სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 36 02)

ქვეყანაში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრა, სოციალური რისკების განეიტრალება და ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა ხანდაზმული მოქალაქეებისათვის.

საპენსიო პაკეტი გახდება 100 დოლარის ექვივალენტი. ჯანმრთელობის დაზღვევა იქნება საპენსიო პაკეტის განუყოფელი ნაწილი.

ეფექტიანი, მისამართული და ფინანსურად მდგრადი საპენსიო და სოციალური დახმარებების სისტემის განვითარებით და მისი მასშტაბების ზრდით მოწყვლადი ჯგუფების საარსებოდ აუცილებელი ფულადი შემოსავლებით და აუცილებელი სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა.

თითოეულ ოჯახს გადაეცემა ოთხწლიანი 1000-ლარიანი ვაუჩერი, რომლის გამოყენებასაც შეძლებენ როგორც კომუნალური, ასევე მათთვის მნიშვნელოვანი სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

პრევენციული, სარეაბილიტაციო და ალტერნატიული მომსახურებითა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა. შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, ძალადობის მსხვერპლ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება



და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

## 1.2 ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 36 03)

სახელმწიფოს მიერ განხორციელდება სხვადასხვა მეთოდით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება. კერძოდ, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო დაზღვევით. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება მათთვის დღეს უკვე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევით, დაზღვეული იქნება ყველა ბავშვი დაბადებიდან 5 წლის ჩათვლით, ასევე ყველა სტუდენტი და საპენსიო ასაკის მოსახლეობა.

განხორციელდება სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება, მათ შორის, გადამდები და არაგადამდები დაავადებების და სიცოცხლისთვის საშიში და ძვირადღირებულ/აუცილებელ მედიკამენტებზე მოსახლეობისთვის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ეფექტიანობის გაზრდის მეშვეობით.

### 1.2.1 ჯანმრთელობის დაზღვევა (პროგრამული კოდი 36 03 01)

სამიზნე ჯგუფების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. ხელმისაწვდომი გახდეს აუცილებელი სამედიცინო მომსახურება და ხელი შეეწყოს საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაზღვევით შემდეგი ჯგუფების უზრუნველყოფას:

- ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“, მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;
- 2008 წლის 6 აგვისტოდან საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ოჯახები, რომლებიც განსახლებულ იქნენ სახელმწიფოს ან სხვა იურიდიული პირების მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ადგილებში;
- სკოლა-პანსიონებში მცხოვრები (მათ შორის, მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) ბავშვები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საღმრთელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებების და სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარები;
- სსიპ – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბენეფიციარები და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფილიალებში დასაქმებული უფროსი აღმზრდელები და აღმზრდელები;
- რეინტეგრაციაში ან მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები, რომელთა გამოც ოჯახები იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურებას;
- სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები;
- საქართველოს საჯარო სკოლის მასწავლებლები, საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, საქართველოს პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი იმ საჯარო სკოლის აღმზრდელი, სადაც ხორციელდება პანსიონური მომსახურება, სპეციალური ან კორექციული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ან სწავლება იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ახასიათებთ საზოგადოებისთვის მიუღებელი, ნორმიდან გადახრილი ქცევა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე მცხოვრები ოჯახები;
- 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის საქართველოს მოქალაქეები;
- საპენსიო ასაკის საქართველოს მოქალაქეები;
- სტუდენტები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები;
- მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

### 1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 36 03 02)

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მიზანია გადამდებ და არაგადამდები დაავადებებით მოსახლეობაში სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება და ამ მდგომარეობების ეპიდზედამხვევლობის სისტემის ფუნქციონირებისთვის ხელისშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- მოსახლეობის ვაქცინებისა და შრატების მიწოდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მართვადი ინფექციებისგან ავადობისა და სიკვდილობის შემცირება;
- აივ-ინფექცია/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის ღონისძიებები;
- ტუბერკულოზის პრევენციისა და მკურნალობის ღონისძიებები;
- სხვა ინფექციური მდგომარეობების (განსაკუთრებით საშიში ინფექციებისა და სხვა ინფექციური და პარაზიტული დაავადების), მ.შ. მალარიის მკურნალობა და პრევენციული ღონისძიებები;
- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, მოსახლეობის სკრინინგული გამოკვლევები;
- სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით სკრინინგული, მკურნალობითი და კლინიკური ზედამხედველობითი ღონისძიებების განხორციელება;
- ზიანის შემცირების ხელშეწყობის მიზნით, ნარკომანიის პრევენციისა და მკურნალობის ღონისძიებები;
- ეპიდზედამხვევლობის სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის საგანმანათლებლო ღონისძიებები ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით.

#### 1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 36 03 02 01)

დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და გავრცელების პრევენციის უზრუნველყოფა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი;
- ბავშვთა ასაკის განვითარების შეფერხება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი;
- ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა;
- მოსახლეობის საგანმანათლებლო კამპანია.

#### 1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 36 03 02 02)

მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა იმუნიზაციის გზით და მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინით, იმუნოგლობულინითა და ანტირაბიული სამედიცინო დახმარებით.

იმუნიზაციის წარმოებისთვის საჭირო ვაქცინების და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა;

სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა, შენახვა და გაცემა;

ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა;

ანტირაბიული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;

ვაქცინების, შრატების და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

#### 1.2.2.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 36 03 02 03)

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება;

რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ეპიდზედამხედველობის განხორციელებისა და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობის ხელშეწყობა;

იმუნიზაციის წარმოებითვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და რაიონულ დონეზე ლოჯისტიკის განხორციელება;

მაღარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პრევენცია და კონტროლის ღონისძიებები;

პრიორიტეტული მიმართულებებით ეპიდ-კვლევებისა და ზედამხედველობის განხორციელება.

#### 1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 36 03 02 04)

პრევენცია და საქართველოს მასშტაბით სისხლის კომპონენტების თანაბარი სტანდარტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ფასიანი დონორობის ინსტიტუტის ეტაპობრივი ჩანაცვლება უანგარო, რეგულარული დონორობის სისტემით.

დონორული სისხლის კვლევის მხარდაჭერა B და C ჰეპატიტებზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე;

ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფა;

უანგარო დონორების მხარდაჭერა და მოზიდვის კამპანია.

#### 1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 36 03 02 05)

დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციის გზით და უსაფრთხო სამუშაოს გარემოს ხელშეწყობა.

შრომის პროცესში მოქმედი გარე ფაქტორების შესწავლა-შეფასება, პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა მიზნობრივ ჯგუფებში და დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინფორმირება პროფესიული ჯანმრთელობის რისკებისა და მათგან დაცვის მეთოდების შესახებ.

#### 1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 36 03 02 06)

ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა ადეკვატური სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

#### 1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 36 03 02 07)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ტუბერკულოზით ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, ტუბერკულოზზე აქტიური ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სასჯელადსრულების დაწესებულებებში ანტიტუბერკულოზური ღონისძიებების ხელშეწყობას. ანტიტუბერკულოზური მედიკამენტები უზრუნველყოფილია „გლობალური ფონდის“ მიერ.

#### 1.2.2.8 აივ ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 36 03 02 08)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს აივ ინფექციაზე/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთათვის კონსულტაციის გაწევას, მათ ტესტირებას და დაავადებულთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას.

#### 1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 36 03 02 09)

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სიკვდილიანობის შემცირება, ანტენატალური ზედამხედველობა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ახალშობილთა სკრინინგი.

### 1.2.2.10 ნარკომანია (პროგრამული კოდი 36 03 02 10)

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, ასევე მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა.

### 1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 36 03 03)

მოსახლეობის დაცვა არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მათთვის პირველადი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სასწრაფო-გადაუდებელ შემთხვევებში. ასევე, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობა.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სპეციალიზირებული დახმარებით უზრუნველყოფას;
- ინკურაბელური პაციენტების მკურნალობას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას;
- დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას.
- თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფას;
- იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას;
- რეფერალური დახმარების უზრუნველყოფას;
- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმებას;
- ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებას.

#### 1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 36 03 03 01)

ფსიქიკური პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა, მათ შორის:

- ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიკური სტაციონარული მომსახურება;
- კრიზისული ინტერვენცია;
- ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება;
- სტაციონარში მყოფი პაციენტების ურგენტული მომსახურებით უზრუნველყოფა.

#### 1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 36 03 03 02)

დიაბეტით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ადეკვატური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა, შესაძლო გართულებების პრევენცია და შემცირება;

დიაბეტით (მ.შ. უმჯრო დიაბეტით) დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ბავშვთა საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;

დიაბეტით დაავადებულ პირთა სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა.

#### 1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 36 03 03 03)

18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 36 03 03 04)

ქვეპროგრამა თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ პაციენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ, ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციით და შესაბამისი მედიკამენტებით.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 36 03 03 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ და სტაციონარულ პალიატიურ მზრუნველობას, მათ შორის, აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა პალიატიურ სტაციონარულ მზრუნველობას.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 36 03 03 06)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის პირთა სტაციონარულ მომსახურებას დაავადების სპეციფიკური გართულების დროს, ასევე ჰემოფილიით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია იშვიათი დაავადებების მქონე პირთათვის სპეციფიკური მედიკამენტებისა და საკვები დანამატების შესყიდვა.

ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტინიჰიბიტორული პროთრომბინ-კომპლექსის შესყიდვა;

ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა - სამკურნალო საკვები დანამატის შესყიდვა;

მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა - პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა;

სომატოტროპული ჰორმონის დეფიციტის მქონე პაციენტებისათვის ჰორმონის შესყიდვა;

ბრუტონის დაავადების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

2.3.7 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 36 03 03 07)

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო ტრანსპორტირებას.

1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 36 03 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები (გარდა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული მოქალაქეებისა) უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა);

ასევე გათვალისწინებულია სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებულ ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის.

1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 36 03 03 09)

სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა

**1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 36 03 03 10)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამხედრო ძალებში გასაწვევ კონტიგენტს დაქვემდებარებული პირების ამბულატორიული და დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების უზრუნველყოფა.

**1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 36 03 04)**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ადამიანური რესურსის განვითარება, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროცესისა და შეფასების მექანიზმების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**1.3 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 36 01)**

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი.

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემა ეფუძნება საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვასა და ჯანმრთელობის დაცვის ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, რაც გულისხმობს სოციალური და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ბ) სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;
- გ) ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის წარმოება;
- დ) სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება;
- ე) საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი;
- ვ) ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა;
- ზ) საექიმო, საექთნო და ფარმაცევტული სპეციალობების ნუსხის განსაზღვრა;
- თ) სამედიცინო მომსახურების წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი.

**1.3.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01 01)**

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია;

ჯანდაცვის სფეროში წარმოებული საქმიანობის მართებულობის, რესურსების ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენების, მართვის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა და რისკების ანალიზი;

სამედიცინო მომსახურების წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება, მათი შესრულების კონტროლი;

ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემების სრულყოფა და კოორდინაცია. თანამედროვე

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება. პროგრამული უზრუნველყოფა და დანერგვა.

### 1.3.2 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 36 01 02)

სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი, სამკურნალო საშუალებების ხარისხზე, მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა, ფარმაცევტული პროდუქციის რეესტრის წარმოების უზრუნველყოფა, სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე კონტროლი;

საქართველოს მასშტაბით სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ორგანიზაციული სრულყოფა, სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული არასწორი საექსპერტო დასკვნების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე განსაზღვრული სოციალური გასაცემლების სწორად მიმართვას ბენეფიციარებზე;

სასერთიფიკაციო გამოცდების საფუძველზე ექიმთა სერთიფიკატების, ასევე, სამედიცინო დაწესებულებებისა და აფთიაქების ლიცენზიების გაცემა;

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე და ექსპორტზე კონტროლი;

